# ინტერპრესნიუსი

24.07.2020

## გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის რეზერვუარის წყლით შევსება დაიწყო

წყალმომარაგების კომპანია გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ასრულებს, სადაც ამ დროისთვის ახალი რეზერვუარის წყლით შევსება მიმდინარეობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს. მათი ინფორმაციით, შესრულებული და მიმდინარე სამუშაოები ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა, მხარის გუბერნატორთან, წყალმომარაგების და მთის კურორტების განვითარების კომპანიების ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა. წყალმომარაგების კომპანიის ცნობით, პროექტის ფარგლებში უკვე აშენდა ხელოვნური ტბა, მიმდინარე სამუშაოები კი, ამ ტბისთვის რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობას ითვალისწინებს.


IPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი სამხე

გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის რეზერვუარის წყლით შევსება დაიწყო

წყალმომარაგების კომპანია გუდაურის ხელოვნური გათოვლიანებისთვის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს ასრულებს, სადაც ამ დროისთვის ახალი რეზერვუარის წყლით შევსება მიმდინარეობს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს.

მათი ინფორმაციით, შესრულებული და მიმდინარე სამუშაოები ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ ილია ბეგიაშვილმა, მხარის გუბერნატორთან, წყალმომარაგების და მთის კურორტების განვითარების კომპანიების ხელმძღვანელებთან ერთად დაათვალიერა.

წყალმომარაგების კომპანიის ცნობით, პროექტის ფარგლებში უკვე აშენდა ხელოვნური ტბა, მიმდინარე სამუშაოები კი, ამ ტბისთვის რეზერვუარის, სატუმბი სადგურისა და მაგისტრალური მილსადენის მოწყობას

წყარო: [https://www.interpressnews.ge/ka/article/610880-gudauris-xelovnuri-gatovlianebistvis-rezervuaris-cqlit-shevseba-daicqo](https://www.interpressnews.ge/ka/article/610880-gudauris-xelovnuri-gatovlianebistvis-rezervuaris-cqlit-shevseba-daicqo)

# ინტერპრესნიუსი

27.07.2020

## ლენტეხის მუნიციპალიტეტში სტიქიამ 6 სოფელი დააზარალა

ლენტეხში სტიქიას ებრძვიან. მუნიციპალიტეტში ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ 6 სოფელი დააზარალა. ჩაკეტილია გზები, დაზიანებულია მოსახლეობის სახნავ-სათესი ფართობები და სოფლების ნაწილს არ მიეწოდება ელექტროენერგია.

დაზარალებულ სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებიან, რომლებიც არსებულ მდგომარეობას ადგილზე ეცნობიან და მოსახლეობას დახმარებას ჰპირდებიან.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/611124-lentexis-municipalitetshi-stikiam-6-sopeli-daazarala



რეგიონი 27.07.2020 / 10:50

ლენტეხის მუნიციპალიტეტში სტიქიამ 6 სოფელი დააზარალა

ლენტეხში სტიქიას ებრძვიან. მუნიციპალიტეტში ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ 6 სოფელი დააზარალა. ჩაკეტილია გზები, დაზიანებულია მოსახლეობის სახნავ-სათესი ფართობები და სოფლების ნაწილს არ მიეწოდება ელექტროენერგია.

დაზარალებულ სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებიან, რომლებიც არსებულ მდგომარეობას ადგილზე ეცნობიან და მოსახლეობას დახმარებას ჰპირდებიან.

28.07.2020

# ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

## თბილისის ზოგიერთ ქუჩას წყალმომარაგება შეეზღუდება

ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის განცხადებით, წყალმომარაგება შეუწყდება თბილისის ათობით ქუჩას. სხვადასხვა ქუჩას წყალი სხვადასხვა დროს უწყდება, 11:45 საათიდან და ეტაპობრივად აღდგება 18:00-დან.

წყლის გრაფიკით მიწოდების მიზეზი სარემონტო სამუშაოებია.

დეტალები ნახეთ ლინკში: https://www.gwp.ge/ka/gadaudebeli/4161-tbilisis-zogiert-quchas-tskhalmomarageba-sheezghudeba



გადაუდებელი სამუშაოები

28/07/2020 თბილისის ზოგიერთ ქუჩას წყალმომარაგება შეეზღუდება

- სამგორის რაიონში, კაიროს ქუჩა N38 თან მაღაზია იოლის მიმდებარედ
ჩატარების მიზნით 16:30-დან 20:00-მდე, წყალმომარაგება შეუწყდება.
ნავთლუღის მე-2 დასახლების N4,5,6 ქუჩებს (იგივე კაიროს, ლორთქიფანძეს)

- მთაწმინდის რაიონში, წავკისში, მაღაზია იოლის მიმდებარედ წყალსადენის

30.07.2020

# ინტერპრესნიუსი

## პრემიერ-მინისტრი სოფელ ღარში სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან ერთად, რაჭაში, სტიქიით დაზარალებულ სოფელ ღარში მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. როგორც მთავრობის ადმინისტრაციიდან „ინტერპესნიუსს“ აცნობეს, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის ხიდთან ადიდებულმა რიონმა გზა ჩამოშალა და ონის წყალმომარაგების ცენტრალური სისტემის მილები დააზიანა. მიუხედავად ამისა, ონს ამჟამად წყალი ალტერნატიული საშუალებით მიეწოდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა მთავრობის მეთაურს მიაწოდეს ინფორმაცია სტიქიისგან დაზიანებულ ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ. ამჟამად იწმინდება მდინარის კალაპოტი, რის შემდეგაც წყლის სისტემის და გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყება.


IPN პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სპორტი

რეგიონი 30.07.2020 / 16:39

პრემიერ-მინისტრი სოფელ ღარში სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, ვიცე-პრემიერთან, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილთან ერთად, რაჭაში, სტიქიით დაზარალებულ სოფელ ღარში მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

როგორც მთავრობის ადმინისტრაციიდან „ინტერპესნიუსს“ აცნობეს, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის ხიდთან ადიდებულმა რიონმა გზა ჩამოშალა და ონის წყალმომარაგების ცენტრალური სისტემის მილები დააზიანა. მიუხედავად ამისა, ონს ამჟამად წყალი ალტერნატიული საშუალებით მიეწოდება.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

წყარო: [https://www.interpressnews.ge/ka/article/611704-premier-ministri-sopel-garshi-stikiit-miqenebuli-zianis-salikvidacio-samushaoebis-mimdinareobas-gaecno](https://www.interpressnews.ge/ka/article/611704-premier-ministri-sopel-garshi-stikiit-miqenebuli-zianis-salikvidacio-samushaoebis-mimdinareobas-gaecno)

# რადიო თავისუფლება

01.08.2020

## ლაგოდეხში მრიცხველების დემონტაჟს და სუფთა წყალს ითხოვენ

ლაგოდეხში გამართულ საპროტესტო აქციაზე სასმელ წყალზე დაწესებული ტარიფის განახევრება, მრიცხველების დემონტაჟი და სუფთა წყლის მიწოდება მოითხოვა ადგილობრივმა მოსახლეობამ.

საინიციატივო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ აქციაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათი თქმით, ერთი თვეა, რაც მომხმარებელი სასმელი წყლის საფასურს მრიცხველის ჩვენების მიხედვით იხდის. საშუალოდ ერთ ოჯახს 150-დან 300 ლარამდე გადასახადი უწევს.

აქციაზე იმყოფებოდა ერთ-ერთი ადგილობრივი, რომლის თქმითაც, მისმა მრიცხველმა ერთ თვეში 750 ლარი დაწერა.

აქცის მონაწილეების მოთხოვნაა, რომ წყლის გადასახადი გადაიხადონ კვლავ სულადობით, როგორც აქამდე იყო. გარდა ამისა, ადგილობრივთა უკმაყოფილებას იწვევს წყლის ხარისხი. აქციაზე ითქვა, რომ უამინდობის დროს ონკანებში წყალი დაბინძურებული მოდის და სასმელად გამოუსადეგარია.

წყარო: https://www.radiotavisupleba.ge/a/30761209.html?fbclid=IwAR2fmf3pOAhCuR97g4uNxtBoy3SAupowY51-ypWez8yOj_i9xyS4ImEj6_o


რადიო თავისუფლება

აგვისტო 01, 2020

ლაგოდეხში მრიცხველების დემონტაჟს და სუფთა წყალს ითხოვენ

გაზიარება

იხ. კომენტარები

Print

Georgian Service (RFE/RL)

ლაგოდეხში გამართულ საპროტესტო აქციაზე სასმელ წყალზე დაწესებული ტარიფის განახევრება, მრიცხველების დემონტაჟი და სუფთა წყლის მიწოდება მოითხოვა ადგილობრივმა მოსახლეობამ.

საინიციატივო ჯგუფის მიერ ორგანიზებულ აქციაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. მათი თქმით, ერთი თვეა, რაც მომხმარებელი სასმელი წყლის საფასურს მრიცხველის ჩვენების მიხედვით იხდის. საშუალოდ ერთ ოჯახს 150-დან 300 ლარამდე გადასახადი უწევს.

აქციაზე იმყოფებოდა ერთ-ერთი ადგილობრივი, რომლის თქმითაც, მისმა მრიცხველმა ერთ თვეში 750 ლარი დაწერა.

აქცის მონაწილეების მოთხოვნაა, რომ წყლის გადასახადი გადაიხადონ კვლავ სულადობით, როგორც აქამდე იყო. გარდა ამისა, ადგილობრივთა უკმაყოფილებას იწვევს წყლის ხარისხი. აქციაზე ითქვა, რომ უამინდობის დროს ონკანებში წყალი დაბინძურებული მოდის და სასმელად გამოუსადეგარია.

აქციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, პროტესტის ნიშნად წყლის საფასურს არ გადაიხდიან და პარალელურად აქციებსაც გამართავენ.

წყლის მრიცხველები ლაგოდეხში მას შემდეგ დაამონტაჟეს, რაც ქალაქის

გიორგი შაქარაშვილის საქმე
Georgian service (RFE/RL)

სხვა მასალები

ვიდეო

რა დროს სჭირდება ჭავჭავაძის გამზირის